

შეტყობინება მეთერთმეტე

ბოყაზი და რუთი – ქრისტესა და ეკლესიის წინასახეები

ადგილები წერილიდან: რუთი 1:16-17; 2:1-3, 13-16; 3:9, 12, 15; 4:1-17, 21-22

I. იმ ნაწილის დასაწყისსა და ბოლოში, რომელიც იწყება იესო ნავეს ძის წიგნით და სრულდება რუთის წიგნით, ჩვენ ვხედავთ ორ გამორჩეულ ადამიანს, რომლებიც წარმოადგენენ ქრისტეს წინასახეს; ეს არის იესო ნავეს ძე და ბოყაზი, რომლებიც აღნიშნავენ ერთი პიროვნების ორ ასპექტს – იესო ნ. 1:1; რუთი 4:21-22:

ა. დასაწყისში ჩვენ ვხედავთ იესო ნავეს ძეს, რომელიც არის წინასახე ქრისტესი როგორც მისი, ვისაც მიჰყავს ღმერთის რჩეული ადამიანები ღმერთის მიერ დადგენილ კურთხევაში; ქრისტემ, ნაჩვენებმა იესო ნავეს ძის წინასახეში, შეგვიყვანა ჩვენ კეთილ მიწაზე, დაიკავა ის ჩვენთვის და დაანაწილა ის ხვედრებად როგორც ჩვენი მემკვიდრეობა ჩვენი ტკბობისათვის; ქრისტემ მოიპოვა ჩვენთვის კეთილი მიწა, და საბოლოოდ, ის არის კეთილი მიწა, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია დავტკბეთ.

ბ. ბოლოს ჩვენ ვხედავთ ბოყაზს, რომელიც არის წინასახე ქრისტესი როგორც ჩვენი ქმრის ჩვენი დაკმაყოფილებისათვის.

II. რუთის წიგნში ბოყაზი იყო წინასახე ქრისტესი შემდეგ ასპექტებში:

ა. როგორც ადამიანი, მდიდარი ქონებით და გულუხვი გამცემი (2:1, 14-16; 3:15), ბოყაზი არის წინასახე ქრისტესი, რომლის ღვთაებრივი სიმდიდრეებიც აურაცხელია და რომელიც ზრუნავს ღმერთის საჭიროების მქონე ადამიანებზე თავისი უხვი შეწევნის მეშვეობით (ეფეს. 3:8; ლუკა 10:33-35; ფილიპ. 1:19).

ბ. როგორც ნათესავი (რუთი 2:3; 3:9, 12), რომელმაც გამოისყიდა დაკარგული უფლება მალქონის საკუთრებაზე და მოიყვანა მალქონის ქვრივი, რუთი, ცოლად იმისათვის, რომ დაბადებულყვენ საჭირო მემკვიდრეები (4:9-10, 13), ბოყაზი არის წინასახე ქრისტესი, რომელმაც გამოისყიდა ეკლესია და გახადა ის თავისი წყვილი თავისი გადიდებისათვის (ეფეს. 5:23-32; იოანე 3:29-30).

გ. რუთის წიგნის თანახმად, ბოყაზმა გამოისყიდა რუთი და გამოისყიდა მისი უფლება პირმშობისა; ამიტომ, ის გახდა გამორჩეული წინაპარი ქრისტესი – 4:1-17, 21-22; მათე 1:5-6:

1. როგორც ძმამ და „ბოყაზმა“, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ სხვა ადამიანებისათვის ქრისტეს პირმშობის უფლებაზე, და არა მარტო საკუთარ პირმშობის უფლებაზე; სხვაგვარად რომ ვთქვათ, თქვენ უნდა იზრუნოთ არა მარტო თქვენ მიერ ქრისტეთი ტკბობაზე, არამედ იმაზეც, რომ სხვები დატკბნენ ქრისტეთი – ეფეს. 3:2; 1 პეტ. 4:10-11; მათე 24:45-47.

2. დავუშვათ, რომ ზოგიერთი ძვირფასი წმიდანი ეკლესიურ ცხოვრებაში ხდება ისეთი, როგორც რუთი, კარგავს თავისი პირმშობის უფლებით ტკბობას, ტკბობას ქრისტეთი; ეკლესიურ ცხოვრებაში ჩვენ გვჭირდება

მრავალი ბოყაზი, რომლებიც დააბრუნებენ ამ ძვირფას წმიდანებს ქრისტეთი ტკობაში.

3. რუთის წიგნში საუბარია, რომ იყო სხვა ნათესავი, რომელიც უფრო ახლოს იყო რუთთან, ვიდრე ბოყაზი, მაგრამ ის ადამიანი იყო ეგოისტი, ის ზრუნავდა მხოლოდ საკუთარ პირმშობის უფლებაზე:

ა) ზოგიერთმა კმამ უნდა იზრუნოს მათზე, ვინც ჰგავს საცოდავ რუთს ეკლესიურ ცხოვრებაში, მაგრამ ისინი არიან ეგოისტები ქრისტეთი სულიერი ტკობის საკითხში – ეზეკ. 34:2-23.

ბ) ვიღაც, ვინც არის ნამდვილი ბოყაზი და მდიდარი ქრისტეთი ტკობის საკითხში, გადაიხდის საფასურს, რათა მიიყვანოს ასეთი წმიდანები ქრისტეთი სრულ ტკობაში; როდესაც მწყემსავს სხვებს ამგვარად, ის მიიღებს კიდევ უფრო მეტ ტკობას ქრისტეთი; დღითი დღე ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ სხვები დატკბნენ ქრისტეთი – იგავ. 11:25; საქმე. 20:35; 1 პეტ. 5:1-4.

დ. ის, ვინც ხდება ისეთი, როგორც ბოყაზი, არის სვეტი ეკლესიურ ცხოვრებაში (ერთ-ერთ სვეტს ტაძარში ეწოდა „ბოყაზი“ – 3 მეფ. 7:21); წერილებში სვეტი არის ნიშანი, მოწმობა, ღმერთის ნაგებობისა გარდასახვის შედეგად სხეულის სიცოცხლის პრაქტიკაში – დაბ. 28:22ა; 3 მეფ. 7:15-22; გალ. 2:9; 1 ტიმ. 3:15; გამოცხ. 3:12; რომ. 12:2; ეფეს. 4:11-12:

1. ისინი, ვინც არიან სვეტები ეკლესიურ ცხოვრებაში, მუდმივად არიან ღმერთის სამსჯავროს ქვეშ (ბრინჯაო), აცნობიერებენ, რომ ისინი არიან ადამიანები ხორცში, არაფრის ღირსნი, გარდა სიკვდილისა და დამარხვისა – ფსალ. 51:5; გამ. 4:1-9; რომ. 7:18; მათე 3:16-17:

ა) ჩვენ უნდა გავასამართლოთ ჩვენი თავი, ვალიართ, რომ ჩვენ ვართ არაფერი და რომ ჩვენ გამოსადეგი ვართ მხოლოდ იმისათვის, რომ ვიყოთ ჯვარცმულები; ვინც არ უნდა ვიყოთ, ჩვენ ვართ ასეთები ღმერთის მადლით, და ვშრომობთ არა ჩვენ, არამედ ღმერთის მადლი – 1 კორ. 15:10; გალ. 2:20; 1 პეტ. 5:5-7.

ბ) დაყოფაც და უნაყოფობაც მორწმუნეებს შორის არის იმ მიზეზით, რომ მათ არა აქვთ ბრინჯაო, არა აქვთ არაფერი ღმერთის სამსჯავროდან; ნაცვლად ამისა, ისინი ამაყობენ, აღიღებენ თავის თავს, იცავენ თავს, იმართლებენ თავს, იმხნეებენ თავს, ბოდიშს უხდიან თავის თავს და თვლიან თავის თავს მართლებად, ხოლო სხვებს ისინი მსჯავს სდებენ და მართავენ მათ, ნაცვლად იმისა, რომ მწყემსონ და ეძებონ ისინი – მათე 16:24; ლუკა 9:54-55.

გ) როდესაც ჩვენ გვიყვარს უფალი და განვიცდით მას, როგორც ადამიანს ბრინჯაოსაგან (ეზეკ. 40:3), ის ხდება ჩვენი არაჩვეულებრივი სიყვარული, უსაზღვრო შემწყნარებლობა, უბადლო ერთგულება, აბსოლუტური მორჩილება, უკიდურესი სისუფთავე, უმაღლესი სიწმიდე და სამართლიანობა და ჩვენი ნათება და სიმართლე – ფილიპ. 4:5-8.

2. სვეტების გვირგვინებზე ტაძარში იყო „დაწნული ბადეები“ [შპალერის მსგავსი] ძეწკვისებური გვირგვინების მსგავსი“; ისინი აღნიშნავენ რთულ და ჩახლართულ სიტუაციებს, რომლებშიც ცხოვრობენ და პასუხისმგებლობას ატარებენ ისინი, ვინც არიან სვეტები ღმერთის ნაგებობაში – 3 მეფ. 7:17; 2 კორ. 1:12; 4:7-8.
3. გვირგვინების თავზე იყო შროშანები და ბროწეულები – 3 მეფ. 7:18-20:
 - ა) შროშანები აღნიშნავს ღმერთში რწმენის სიცოცხლეს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ იმით, რასაც წარმოადგენს ღმერთი ჩვენთვის, და არა იმით, რასაც წარმოადგენს ჩვენ; ბრინჯაო აღნიშნავს „არა მე“, ხოლო შროშანი აღნიშნავს „არამედ ქრისტე“ – ქებ. ქებ. 2:1-2; მათე 6:28, 30; 2 კორ. 5:4; გალ. 2:20.
 - ბ) ბროწეულები გვირგვინების ჯინჯილებზე აღნიშნავს სისავსეს, სიუხვესა და სილამაზეს, და ასევე ქრისტეს როგორც სიცოცხლის სიმდიდრეების გამოხატულებას – ფილიპ. 1:19-21ა; ეფეს. 1:22-23; 3:19.
 - გ) დაწნული სამუშაოს მიერ გადახაზვისა და ძეწკვისებური სამუშაოს მიერ შეზღუდვის მეშვეობით, ჩვენ შეგვიძლია ვიცხოვროთ სუფთა, უბრალო სიცოცხლით, რომელიც დაიედებულია ღმერთზე, რათა გამოხატოს ქრისტეს ღვთაებრივი სიცოცხლის სიმდიდრე ღმერთის ნაგებობისათვის სიცოცხლეში.

III. ამ ნათელ და კეთილსურნელოვან ისტორიაში, რუთი არის წინასახე ეკლესიისა შემდეგ ასპექტებში:

- ა. რუთი, ქალი ადამში, ღმერთის ქმნილებაში და მოაბელი (ცოდვილი) ადამიანის დაცემაში, გახდა ძველი ადამიანი, ამ ორი ასპექტით, არის წინასახე ეკლესიისა მის გადარჩენამდე, როგორც ადამიანებისა ღმერთის ქმნილებაში და ცოდვილებისა ადამიანის დაცემაში, არის „ჩვენი ძველი კაცი“ – რომ. 6:6
- ბ. რუთი, როგორც ქვრივი გარდაცვლილი ქმრისა, გამოსყიდული ბოყაზის მიერ, რომელმაც გადაიხადა თავისი გარდაცვლილი ქმრის დავალიანება, რათა აღედგინა დაკარგული უფლება მისი გარდაცვლილი ქმრის ქონებაზე (რუთი 4:9-10), არის წინასახე ეკლესიისა თავისი ძველი კაცით, როგორც თავისი ჯვარცმული ქმრით (რომ. 7:4ა; 6:6) გამოსყიდული ქრისტეს მიერ, რომელმაც მოგვაშორა თავისი ძველი კაცის ცოდვა (იოანე 1:29) ღმერთის მიერ შექმნილი მისი დაცემული ბუნებრივი ადამიანის დაკარგული უფლების აღდგენისათვის (დაბ. 1:26; ესაია 54:5).
- გ. რუთი, რომელიც გამოსყიდული იყო ბოყაზის მიერ, გახდა მისი ახალი ცოლი (რუთი 4:13), არის წინასახე ეკლესიისა, მას შემდეგ, რაც ის გადარჩა ეკლესიის ბუნებრივი კაცის ხელახლაშობით (იოანე 3:6), გახდა ქრისტეს წყვილი (მუხ. 29ა; რომ. 7:4).
- დ. რუთი, რომელმაც აირჩია, რომ გაყოლოდა ნაყომის ისრაელის მიწაზე (რუთი 1:16-17) და დაუკავშირდა ბოყაზს, არის წინასახე იმისა, რომ წარმართი ცოდვილები მიემაგრებიან ქრისტეს (2 კორ. 1:21), რათა ეზიარონ ღმერთის დაპირების მემკვიდრეობას (ეფეს. 3:6).

IV. ბოყაზის (ქრისტეს როგორც ჩვენი ახალი ქმრის წინასახის) და რუთის (ეკლესიის მისი ძველი კაცით როგორც მისი ჯვარცმული ქმრის წინასახის) სურათი წარმოდგენილია პავლეს სიტყვებში რომ. 7:1-6-ში:

- ა. ღმერთის ქმნილებაში ადამიანის თავდაპირველი მდგომარეობა იყო ცოლის მდგომარეობა; ესაიას 54:5-ში საუბარია, რომ ღმერთი, ჩვენი შემოქმედი, არის ჩვენი ქმარი; ჩვენ, როგორც ღმერთის ცოლი, უნდა ვიყოთ დამოკიდებული მასზე და მივიღოთ ის, როგორც ჩვენი თავი.
- ბ. როდესაც ადამიანი დაეცა, მან დაიკავა სხვა მდგომარეობა, მდგომარეობა, მითვისებული ძველი ადამიანის მიერ (თვით ჩვენი არსების, რომელიც იყო შექმნილი ღმერთის მიერ, მაგრამ გახდა დაცემული ცოდვის გამო); ადამიანი შექმნილი ღმერთის მიერ, იყო ცოლი, მაგრამ დაცემული ადამიანი გახდა დამოუკიდებელი ღმერთისაგან და გახდა თავისი თავი ქმრის სახით.
- გ. ვინაიდან ჩვენი ძველი კაცი, ანუ ძველი ქმარი, ჯვარცმულია ქრისტესთან ერთად (რომ. 6:6), ჩვენ განთავისუფლებული ვართ მისი კანონისაგან (7:2-4) და შეუერთდნენ ახალ ქმარს, ქრისტეს, რომელიც ცხოვრობს მარადიულად.
- დ. ჩვენ, მორწმუნეებს გვაქვს ორი სტატუსი:
 1. ჩვენ გვაქვს ჩვენი ძველი სტატუსი დაცემული ძველი კაცისა, რომელმაც მიატოვა თავდაპირველი მდგომარეობა ღმერთზე დამოკიდებული ცოლისა და მითვისა მდგომარეობა ღმერთზე დამოუკიდებელი ქმრისა და თავის.
 2. ჩვენ გვაქვს ჩვენი ახალი სტატუსი ხელახლაშობილი ახალი კაცისა, მას შემდეგ, რაც ჩვენ დავბრუნდით ჩვენს თავდაპირველ, ჩვენთვის განკუთვნილ მდგომარეობაში ღმერთის ნამდვილი ცოლისა (ესაია 54:5; 2 კორ. 11:2-3), რომელიც დამოკიდებულია ღმერთზე და ღებულობს მას როგორც თავის თავს.
- ე. ჩვენ აღარ გვაქვს ქმრის ძველი სტატუსი, რადგან ჩვენ ვართ ჯვარცმული (გალ. 2:20; რომ. 6:6); ახლა ჩვენ გვაქვს მხოლოდ ახალი სტატუსი სათანადო ცოლის, რომელშიც ჩვენ ვღებულობთ ქრისტეს როგორც ჩვენს ქმარს, და ჩვენ აღარ უნდა ვიცხოვროთ ძველი კაცის თანახმად (ანუ აღარ უნდა მივიღოთ ძველი კაცი როგორც ჩვენი ქმარი).
- ვ. რომ. 7:4-ში პავლე აერთიანებს დასაფლავებასა და ქორწილს; ერთი მხრივ, ჩვენ ვიყავით დამარხულნი; მეორე მხრივ, ჩვენ დავქორწინდით; ჩვენ მოკვდით ჩვენი ძველი სტატუსის თანახმად, რათა დავქორწინებულიყავით სხვაზე თანახმად ჩვენი ახალი სტატუსისა; თანახმად ჩვენი ახალი სტატუსისა ჩვენ ვქორწინდებით მასზე, ვინც აღდგა მკვდრეთით, რათა ჩვენ მიუუტანოთ ნაყოფი ღმერთს.
- ზ. ჩვენი ძველი კაცი, ჩვენი ძველი ქმარი, ჯვარცმულია ქრისტესთან, რომ ჩვენ „შეუერთდეთ სხვებს, მათ, ვინც აღმდგარია მკვდრეთით, რათა ჩვენ მიუუტანოთ ნაყოფი ღმერთს“ (მუხ. 4); ეს შეერთება გვიჩვენებს, რომ ჩვენს ახალ სტატუსში, ცოლის სტატუსში, ჩვენ ვიმყოფებით ორგანულ კავშირში პიროვნებაში, სახელში, სიცოცხლესა და არსებობაში ქრისტესთან ერთად მის აღდგომაში.

- თ. ვინაიდან ახლა ჩვენ ვართ ხელახლაშობილი ახალი კაცი და ცოლი ქრისტესათვის, ყველაფერი, რასაც ჩვენ წარმოვადგენთ, და ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, დაკავშირებულია ღმერთთან, და ჩვენ წარმოვქმნით ღმერთს როგორც ჩვენი სიცოცხლის ნაყოფს, მის დინებას; ეს ეწინააღმდეგება ნაყოფს, მოტანილს სიკვდილისათვის (მუხ. 5), რომელიც ჩვენ წარმოვქმნით ადრე, როგორც ძველმა კაცმა, ძველმა ქმარმა.
- ი. ახლა ჩვენ შეერთებული ვართ აღმდგარ ქრისტესთან როგორც მაცოცხლებელ სულთან ჩვენს სულში; ეს არის შეერთება „ღმერთის სულისა ჩვენს სულთან“ (8:16) „ერთ სულად“ (1 კორ. 6:17):
1. ჩვენ მთელი ჩვენი არსებით უნდა შემოვბრუნდეთ და მივმართოთ ამ შეერთებულ სულს – რომ. 8:6.
 2. ჩვენ ასევე უნდა ვიცხოვროთ და ვიაროთ ამ შეერთებული სულის თანახმად – მუხ. 4.
 3. როდესაც ჩვენ ასე ვცხოვრობთ ამ შეერთებულ სულში, ჩვენ შეგვიძლია გამოვაგლინოთ ჩვენი ცხოვრებით ქრისტეს სხეული, გავხდეთ ერთობლივი გამოსატყულება ქრისტესი სამერთიანი ღმერთის დიდებისათვის – ეფეს. 1:23; 3:21; 1 კორ. 10:31; 1 პეტ. 4:11; გამოცხ. 21:10-11.